

გეპატიუებით სემინარზე:

IETF Day in Tbilisi - 29 მაისი, 15:00

ინტერნეტის მარშრუტიზაციის და უსაფრთხოების მომავალი პროტოკოლები

ორგანიზატორი: **Internet Society – Georgia Chapter**

მასპინძელი: **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

ვინ უნდა დაესწროს: **ქსელის ინჟინრები, ლექტორები, გამორჩეული სტუდენტები**

რატომ უნდა დაესწროს: **რომ გაიგოს რა არის ქსელების პროტოკოლების განვითარების ტენდენციები - განხილული იქნება შემუშავების პროცესში მყოფი პროტოკოლები, თუ რა მიზნით ხდება მათი შემოღება, მათი პლუსები და მინუსები.**

ჩატარების დრო: **ოთხშაბათი, 29 მაისი, 15:00 – 17:00 საათი**

ჩატარების ადგილი: **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. # 68**

IETF-ის შესახებ:

Internet Engineering Task Force (IETF) არის საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაცია, რომელიც შეიმუშავებს და ავრცელებს ინტერნეტის სტანდარტებს და აქვეყნებს RFC-ს ფორმით. IETF-ს საქმიანობას კურირებს **The Internet Society**, გლობალური არასამთავრობო ორგანიზაცია რომლის მიზანია მთელს მსოფლიოში თავისუფალი და სანდო ინტერნეტის გავრცელება .

სემინარს ჩაატარებენ **მიხეილ ქართველიშვილი** და **ვატო ჩანტლაძე**.

დღის წესრიგი:

IETF ის მუშაობის პრინციპები და სტანდარტების მიღების პროცესი მიხეილ ქართველიშვილი

მარშრუტიზაციის პროტოკოლების განვითარების ტენდენციები მიხეილ ქართველიშვილი

პრეზენტაცია ეხება მარშრუტიზაციის პროტოკოლების განვითარების თანამედროვე ტენდენციებს. ის მიმოიხილავს არსებულ პროტოკოლებში შემოთავაზებულ ცვლილებებს, რომლებიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების გაუმჯობესებას და ოპერირების ოპტიმიზაციას როგორც ინტრა-, ასევე ინტერ-დომენური მარშრუტიზაციისთვის.

ასევე განხილული იქნება მარშრუტიზაციის სრულიად ახალი unicast და multicast პროტოკოლები, რომელთა დანერგვა მოსალოდნელია უახლოეს რამდენიმე წელიწადში.

უსაფრთხოების პროტოკოლების განვითარების პერსპექტივები ვატო ჩანტლაძე

წარმოდგენილი იქნება თანამედროვე უსაფრთხოების პროტოკოლები, რომელთა დამუშავება ამჟამად მიმდინარეობს. განიხილება უსაფრთხოების საკითხები ქსელური ტექნოლოგიების სხვადასხვა არქიტექტორულ დონეზე, ექსპერიმენტალური პროტოკოლი DDoS შეტევების კლასიფიკაციისთვის და ახალი სტანდარტი World Wide Web-ის შემდეგი ვერსიისთვის.

მიხეილ ქართველიშვილი

CCIE#45871 (R&S), JNCIP-SP

სატელეკომუნიკაციო ქსელების არქიტექტორი

- მას აქვს IP/MPLS ქსელების დიზაინისა და ოპერირების 20-ზე მეტი წლის გამოცდილება. მიხეილი წლების განმავლობაში მუშაობდა წამყვან ქართულ ტელეკომ ოპერატორებსა და IT ინტეგრატორებში, როგორებიცაა Silknet, UGT, GREENNET და GRENA.
- აქვს ძირითადი ქსელური ვენდორების Cisco, Juniper და F5 აპარტურურაზე კომპლექსური გადაწყვეტილებების აგების მდიდარი გამოცდილება.
- ის ასევე Cisco Networking Academy-ის პირველი ოფიციალური ინსტრუქტორია საქართველოში და ამჟამად აგრძელებს აკადემიურ მოღვაწეობას.
- კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- Internet Society - Georgia -ს წევრი
- IETF Technical Fellow

ვატო ჩანტლაძე

IT უსაფრთხოების სისტემების არქიტექტი, ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულების ხელმძღვანელი კომპანია UGT-ში

- მისი სპეციალიზაციაა ენტერპრაიზის IT სისტემების უსაფრთხოება. ის კონცენტრირდება შემდეგი მიმართულებებით Next-Generation Firewalls, Intrusion Prevention Systems, Sandboxing, Secure Web Gateways, SIEM, and Multifaceted Analytics.
- აქვს წამყვანი ვენდორების Check Point, Cisco, F5, Symantec, McAfee-ს კომპლექსური გადაწყვეტილებების აგების მრავალი წლის გამოცდილება.
- არის CCSM - Check Point Certified Security Master უმაღლესი სერტიფიკაციის ერთადერთი მფლობელი საქართველოში.
- ინფორმაციული სისტემების და ქსელების მაგისტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- Internet Society - Georgia -ს წევრი
- IETF Technical Fellow

რეგისტრაციისთვის თუ შეიძლება მოგვწერეთ მისამართზე: isoc.georgia@gmail.com